პატარა ბუ
ლენე მაიერი - სკუმანცი/სალვატორ სკიასკია
(Skumanz/Salvatore Sciascia)

ძალიან დიდი ხნის წინ, როცა ცხოველებსა და ადამიანებს ჯერ კიდევ საერთო ენა ჰქონდათ, ოცნების მთების უკან ტყეში პატარა ბუ ცხოვრობდა. ის იყო ყველაზე პატარა ექვს და-ძმას შორის და ბოლომ დატოვა ძველ ხეზე არსებული გამოქვაბული. ბუს მშობლები ასწავლიდნენ ფრენას, თაგვების დაჭერას და მზის აბაზანების მიღებას. და ერთხელაც უთხრეს: “გაბედე, პატარავ! შეხედე სამყაროს!” ”კი მაგრამ, ვარ ამისთვის მზად? ჯერ კიდევ ძალიან პატარა არ ვარ? - მიუგო პატარა ბუმ.
ბუს მშობლებმა ნისკარტი დააკრატუნეს, შემდეგ კი გულმოდგინედ თქვეს: „დიდი ბუ, რომელმაც შექმნა ყველაფერი, დაგიცავს შენ მოგზაურობაში! და წესები იცი: ისე სწრაფად მოკალი საკბილო, რომ ტკივილი არ იგრძნოს, ასე უფრო უკეთესი გემო აქვს. ისიამოვნეთ ყოველი სინათლით, რაგინდ სუსტი არ უნდა იყოს იგი. და ეს რაც შეეხება შორ მანძილზე ფრენას: ფრენას ფრენით სწავლობ, და ამაზე მეტი არ ითქმის". პატარა ბუმ მიმოიხედა ირგვლივ, რათა თავის მშობლებს და ხის სახლს კიდევ ერთხელ კარგად რომ დაკვირვებოდა. გადაიკისკისა, მშვიდად ამოიხვნეშა, ფრთები გაშალა და გაფრინდა.

ოცნების მთების უკან ტყე დიდი იყო და ცხოველებით სავსე. მცირე ფრენის შემდგე პატარა ბუმ გაშლილ მდელოზე კლდოვანი ბორცვი იპოვა. ხავსით დაფარულ მწვერვალზე დაჯდა, დაღმავალ მზეს უცქეროდა და თან უხაროდა. მის ქვემოთ ქვაზე, რომელიც ჯერ კიდევ მზისაგან თბილი იყო, ველური კატა იწვა. ცხვირიდამ შუბლზე მას ოთხი შავი ზოლი გადასდიოდა. როდესაც თვალები ასწია და პატარა ბუს მიაცქერდა, ხუჭუჭა კუდი ოდნავ აუკანკალდა.
„ჰმ, ბუ! შენ ჩემთვის ახლა შესაფერისი ხარ. მიპასუხე: როგორ შეუძლია დიდ ველურს კატას, რომელმაც შექმნა ყველაფერი, დაუშვას, რომ არსებობდნენ კატები, რომელთა მოთვინიერებაც

შესაძლებელია?" ”როგორ როგორ?” - იკივლა პატარა ბუმ, სრულიად გაკვირვებულმა. "წუხელ უფრო შორს ვიარე, ვიდრე ოდესმე, ნაკადულამდე, რომელიც სიზმრის მთებიდან ჩამოდის. იქ დავინახე ხისგან და ქვებისგან დამზადებული ადამიანის ნაგებობა და ირგვლივ მსუქანი მსხვილფეხა პირუტყვის სუნი იდგა. მაგრამ მე მაძღარი ვიყავი და მინდოდა ცოტა შორიდან მეყურებინა. შენობის წინ იჯდა ადამიანი, კატა კალთაში ეჭირა და ეფერებოდა. ის არ იკბინებოდა და არ კაწრავა, მხოლოდ კრუტუნებდა. ცივმა ჟრუანტელმა დამიარა. ნება მისცე რომ ვინმე შეგეხოს, - კრრრ, ჰუფ! როგორაა ეს შესაძლებელი?"
პატარა ბუ იხვივით აიწია, თავი გააქნია და ჭიკჭიკით ჩაილაპარაკა: "საიდან უნდა ვიცოდე?" ველური კატა იჯდა, ხუჭუჭა კუდი შეშუპებული ჯაგრისებრ აეკაპიწა. თვალები მწვანედ და ყვითელად უბრწყინავდა.

„აი რას მეკითხები?" - ამოისუნთქა მან. "შენ ბუ ხარ! ბუები ბრძენნი არიან და იციან პასუხები მსოფლიოს კითხვებზე!"
“ეს არ ვიცოდი, - თქვა შეშინებულმა პატარა ბუმ. "მაშინ, რატომ არსებობ?" - დაიჩივლა გარეულმა კატამ. "გრცხვენოდეს და ნახე, თუ წინ წახვალ!"
პატარა ბუ ისე შეკრთა, რომ ფრთები გაშალა და გაფრინდა. იპოვა მაღალი ხე ფართოდ განტოტილი, რომელშიც მზის ჩასვლა ანათებდა. პატარა ბუ ყველაზე დაბალ ტოტზე ჩამოჯდა და შეეცადა ფიქრებს მისცემოდა. ტყის სიღრმიდან უცებ ამოფრინდა მძიმე ფრთებით და ხმამაღალი ქნევით ფარშევანგი და პატარა ბუს გვერდით ჩამოჯდა. მისი სიმძიმის ქვეშ ტოტი ირხეოდა. "კიდევ ერთხელ გამოვიდა!" დაიკივლა ფარშევანმა. "ყოველი ძილის წინ სულ ერთი და იგივე წვალება. რატომ არ შემიძლია ფრენა ისე კარგად, როგორც სიარული? ჰეი, ვინ ზის? მისმინე, პატარავ, ეს ჩემი საძილე ხეა!"
„უკაცრავად!“ ამოიხვნეშა პატარა ბუმ. ფარშევანმა შეარხია თავისი ბრწყინვალე ბუმბული და თქვა: "ოჰ, ბუ, ხმით ამოიცნობ. ეს კარგია". გაისწორა თავისი უკანა კუდი და შემდეგ დაეშვა ვერტიკალურად დაბლა.

შემდეგ გააგრძელა: „ერთი კითხვა მაქვს, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს: რატომ დაუშვა ყოვლის შემქმნელმა დიდმა ფარშევანგმა, რომ ძილისთვის ასეთი ცოტა ხეები იზრდებიან?“.
„ეჰ, ეჰ“, განცვიფრებით ამოისუნთქა პატარა ბუმ.
„აბა, ხედავ, რა გრძელი კუდი მაქვს“ - თქვა ფარშევანგმა. "მე შემიძლია ამით ეტლის ბორბლების ტრიალი. მაგრამ როცა მსურს უსაფრთხოდ დავიძინო, ეს მაწუხებს. მხოლოდ ძალიან მაღალი ხეებია შესაფერისი, მაღალი ჰორიზონტალური ტოტებით. ამ ტყეში ასეთი ძალიან ცოტაა!"
„მაგრამ ეს ხომ გაქვს?“ - წაიჩურჩულა ბუმ.
„სამი-ოთხი მინდა ასარჩევად მქონდეს - შესძახა ფარშევანმა. "მაშ მიპასუხე: რატომ ამაზე არ იზრუნეს წინასწარ?!"
„არ ვიცი“, - უპასუხა პატარა ბუმ.
ფარშევანგმა თავი ისე დაიქნია, რომ ბუმბულის ლურჯი გვირგვინი კინაღამ წამოედო პატარა ბუს მკერდის ბუმბულს. "თქვენ არ იცით ეს? რატომ არ იცით ეს? ბუებმა იციან პასუხები მსოფლიოს კითხვებზე!"
„მე არც ვიცოდი, რომ ეს სამყაროს კითხვაა", - აღიარა პატარა ბუმ.
"პატარა სულელო, მაშინ სულაც არ ხარ ნამდვილი ბუ!" - დაიყვირა ფარშევანმა, "გრცხვენოდეს და ნახე, რომ აქედან გაფრინდე." პატარა ბუც შეშინებული გაფრინდა.
მან იპოვა კლდე პატარა გამოქვაბულით, სადაც ჩამოჯდა დასასვენებლად და დასაფიქრებლად.
„რატომ უნდა მრცხვენოდეს?“ ჩაილაპარაკა თავისთვის.
„რატომ უნდა ვიცოდე პასუხები მსოფლიოს კითხვებზე? როგორ შეიძლება ველურმა კატამ ყოვლისშემოქმედ დიდ ველურ კატაზე ისაუბორს, ხოლო ფარშევანგმა ყოვლისშემქმნელ დიდ ფარშევანგზე, მაშინ როდესაც ეს დიდი ბუ იყო, რომელმაც შექმნა ყველაფერი?"

მზე ჩაიძირა ოცნების მთების უკან. საღამოს ვარსკვლავი ანათებდა დასავლეთ ცაზე და მთვარე ნელ-ნელა ხეების თავზე ავიდა. მისმა სხივებმა მიაღწიეს კლდეში მდებარე გამოქვაბულს და პატარა ბუმაც ვერცხლის შუქით გაიხარა.
"გაფრენის დროა!" - გაისმა ხმა მის უკან. "რა მშვიდი ღამეა! მადლობა დიდ ღამურას, რომელმაც შექმნა ყველაფერი!"

პატარა ბუმ თავი შემოატრიალა და კედელზე თავდაყირა ჩამოკიდებული ღამურა დაინახა. იგი უკანა ფეხის თითებითა და ცერა ორი კლანჭით მტკიცედ იყო მიბმული კლდეზე. ოდნავ გაჭიმა თავისი ფრთების მემბრანა, რათა გაეცხიმიანებინა იგი. ენით ზეთოვანი სითხე მოიგროვა, რომელიც ნესტოების ზემოდან ჟონავდა და სწრაფად მოისვა მთელ კანზე. "ფუი ფუი, ეს სუნი!" თქვა პატარა ბუმ.

„ხო, მძიმე სუნი აქვს“, დაუმოწმა ღამურამ. „ამიტომ არ ვარ შენი საკვები, ძვირფასო“. „შენ ხომ ბუ ხარ, თუ ..?“

„კი, პატარა და შეიძლება არც კი ნამდვილი“.

„ტს, ტს, ბუ ბუა, და ბუებმა იციან პასუხი მსოფლიოს კითხვებზე“ - თქვა ღამურამ. „ძვირფასო, ერთი კითხვა მექნებოდა.“ ღამურამ ფუღუროს კიდესკენ მიიწია და პატარა ბუს სახის წინ ჩამოეკიდა.

„შეხედე, როგორი გამომგონებელი ვარ“ - ჩაიცინა მან, - „მშვენივრად აღჭურვილი ყველაფრისთვის! ჩემს მკვებავ კოღოებს ყველაზე ბნელ ღამეშიც კი ვპოულობ. ვყვირი მათზე და როცა ექო მიბრუნდება, ზედ ვაფრინდები და ვსანსლავ. მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: ყოველწლიურად მხოლოდ ერთი ბავშვის გაჩენა შემიძლია. პეპლები ბევრ, ბევრ კვერცხს დებენ, დედა ზღარბის უკან ზღარბების გრძელი რიგია, მელიებს კი სულ მცირე სამი შვილი ჰყავთ. რატომ მაძლევს ყოვლისშემოქმედი დიდი ღამურა მხოლოდ ერთ შვილს?“

„არ ვიცი“. უპასუხა პატარა ბუმ. ღამურა გაოცებული წინ და უკან ქანაობდა.

"შენ ეს არ იცი? - როგორ უნდა დავიჯერო?"

„არ ვიცი“, - გაიმეორა პატარა ბუმ და მწუხარებისაგან მძიმედ ბუტბუტებდა.

„ვინ უნდა იცოდეს, თუ არ იცი?“ - სევდიანად იკითხა ღამურა. "იქნებ საკმარისად არ ცდილობ ფიქრს, არა? დაბრუნდები, როცა პასუხს მოიფიქრებ? პატარა ბუმ მოუთმენლად დაუქნია თავი. "კარგი", ჩაიბჟუტურა ღამურამ, ფრთების მემბრანა გაშალა და სიბნელეში გაუჩინარდა. მისმა სწრაფმა ყვირილმა ჰაერი შეარყია. მის შემდეგ გამოქვაბულის სიღრმიდან მრავალი სხვა ღამურა გამოფრინდდა. პატარა ბუ მთვარის შუქზე უყურებდა მათ ზიგზაგით მოძრაობას.

მიუხედავად მწუხარებისა, პატარა ბუ მიხვდა, თუ როგორ მოშიებია. მან ღამე ნადირობაში გაატარა და მკვებავი თაგვები სწრაფად მოინადირა. როდესაც ის იმდენად დანაყრდა, რომ კიდევ ერთი ლუკმას ვეღარ ეტანებოდა, ერთ-ერთ მიწიშ ქვემ მყოფ თაგვს უთხრა: „ეი, შენ თაგვო ქვემოთ, მიპასუხე: რა ძლევამოსილმა არსებამ შექმნა ყველაფერი, მე, შენ?“
ცოტა ხანში მიწის ნახვრეტიდან ხმა გაისმა: "დიდმა თაგვმა, კიდევ ვინ? შენ ეს ზუსტად იცი, ძველო ყოვლისმცოდნევ! რატომ მეკითხები ასე საეჭვოდ? გინდა ჩემი ნახვრეტიდან გამომიტყუო? შენნაირები არიან დამნაშავე, თუ ზოგიერთი ჩვენგანი გვაკლდება. ნეტავ ვიცოდე, რატომ არ გაჩნდით ბუები ბალახის ან მარცვლეულის მჭამელები?“
პატარა ბუმ ჩაილუღლუღა: „არა, მარცვლეული ჩვენ გვეკუთვნის“. კიდევ უფრო ჩუმად ჩაილაპარაკა და შემდეგ სიჩუმემ დაისადგურა.
პატარა ბუ გაფრინდა და ხის მაღალ წვეროს ეძებდა დასასვენებლად.
"ჰოი-ჰოი-ჰოი, მე არ ვარ ყველაფრის მცოდნე" - ყვიროდა იგი. "მე რომ არაფრი ვიცი, ეს ვიცი ნამდვილად კარგად." შორს მის ქვემოთ ნაცრისფერი ჩრდილი გადაადგილდებოდა სქელი ხვეული კუდით.
"მაშ კარგი!" გაისმა ხმა. "ცოდნის ძალიან მცირე რაოდენობა, ულვაშივით თხელი, უკვე არსებობს." პატარა ბუმ თავი ყველა მიმართულებით გააქნია. „მე ვისწავლი“, - ჩაიჩურჩულა და დაეძინა.

როდესაც დილის სხვივმა ფოთლებში გამოანათა, პატარა ბუ უკვე გამოფხიზლებული იყო და ტკბებოდა ვარდისფერი კაშკაშით. „რას ვნახავ და შევიცნობ დღეს?“ - იკითხა მან. ფრთები გაშალა, ჩუმად და სწრაფად გაფრინდა დილის სიმსხალა ტყის ზემოთ ოცნების მთებისკენ. უცებ დაინახა, რომ მის ქვემოთ აქაფებული და ცქრიალა პატარა ნაკადული მოჩუხჩუხებდა. ჩაფრინდა დაბლა და შენიშნა ადამიანის სილუვეტი, რომელზეც ველური კატა ლაპარაკობდა. ირგვლივ სიჩუმე იყო, გარდა რამოდენიმე ქათმისა, რომლებიც ჭიაყელებს ეძებდნენ. მაგრამ ქვემოთ ადამიანის სიმღერის ხმა ისმოდა. პატარა ბუ გაჰყვა სიმღერის ხმას და დაინახა ქალი, რომელიც წყალს სრუპავდა.

ბუ ჩაჯდა კენკრის ბუჩქში და დაიწყო ხიხინი: „შენ გაქვს ლაპაზი ხმა, ბევრად ლამაზი ვიდრე მე.“
ქალმა ახედა ბუს და გაუღიმა. მერე უთხრა მას:
„წარმოიდგინე, ყველა არსებას რომ ერთნაირი თვისებები ჰქონდეს, არ იქნებოდა ეს სამყაროში მოსაწყენი? შენ, მაგალითად, ხედავ და გესმის უკეთ ვიდრე მე, ფრენაზე რომ აღარფერი ვთქვა.“
„რატომ მღერი?“ ჰკითხა ისევ პატარა ბუმ. „გსურს დაიცვა თქვენი საკვები არეალის საზღვრები, როგორც შავშვი შვრება?“
„მე ვმღერი იმისათვის რომ საქმე გამიადვილდეს“, უპასუხა ქალმა. „და ხანდახან ვმღერი აგრეთვე ყოვლისშემოქმედი დიდი დედის სადიდებლად“.
„სად ცხოვრობს ის?“ ჰკითხა პატარა ბუმ.
„ყველგან“, უპასუხა ქალმა. „ადამიანის თვალი ვერ მოიცავს მას. მზე, მთვარე და ვარსკვლავები სამკაულებია მხოლოდ მის სამოსზე“.
„მაგრამ ახლა რომ გითხრა“, ჩაირჩურჩულა ბუმ „თევზებმა ამ ნაკადულში იციან დიდი თევზის შესახებ, რომელმაც ყველაფერი შექმნა“.
„ეს ნამდვილად არ შეურაცყოფს დიდ დედას“ - თქვა ქალმა. „მას დიდი გული აქვს ყველა თავისი ქმნილებისათვის“.
პატარა ბუმ თავი წინ და უკან გააქნია და დაფიქრდა. „უხარია მას, როდესაც სადიდებლად უმღერი?“
„იმედი მაქვს“ - უპასუხა ქალმა. „მას ბევრ რამეს ვევედრები, რომ ჩემი სახლის სახურავმა დიდხანს გაძლოს, რომ ჩემმა ქათმებმა ბევრი წიწილა გამოჩეკონ, რომ ჩვენ ჯანმრთელები ვიყოთ, რომ ჩემმა ბავშვმა და მე ...“.
„შენ ხვალინდელ რამეებზე ფიქრობ?“
„კი მაგრამ ამას ხომ ყველა აკეთებს?“ - ისევ მიუგო ქალმა. „თუ იცი, დღეს ისევ იწვიმებს? ჩემი სარეცხი მინდა რომ გაშრეს“.
„ჰაერში წვიმის სუნი არ დგას.“ - უპასუხა პატარა ბუმ, დაემშვიდობა და გაფრინდა ნაკადულის დინების საწინააღმდეგოდ.

)

მთელი დღე მზე ანათებდა და პატარა ბუც კარგად ირუჯებოდა. ამ დროის განმავლობაში იგი ფიქრებს მისცემოდა. საღამოსთვის გაფრინდა ოცნების მთების ფერდობებთან. როცა დაღამდა ხეებს შორის დაინახა რაღაც ანათებდა როგორც ოქროსფერი ვარსკვლავი. მიფრინდა მოციმციმე სინათლესთან და აღმოაჩინა პატარა ხის ქოხი. სინათლე გამოდიოდა კედლის ღიობიდან და პეპლებს იზიდავდა. პატარა ბუც გრძნობდა თავს მონუსხულად. ის თანდათან უფრო და უფრო უახლოვდებოდა, სანამ ღიობის წინ ვიწრო ბილიკზე არ აღმოჩნდა. თბილი ბზინვარება იმდენად მოეწონა, რომ შეეცადა ბუს სასიყვარული სიმღერა წამოეღიღინა. ამოიხვრინა, წამოიყივლა და დაიყვირა.

„ბუ ჩემს ფანჯრის რაფაზე“ - გაისმა ბოხი ხმა. „კეთილი იყოს შენი მობრძანება“.

პატარა ბუ შეცბა, დაინახა რა შუქის მიღმა ადამიანი. ეს იყო მოხუცი კაცი.



„რას აკეთებ აქ?“ პატარა ბუმ ჰკითხა მოხუც კაცს.
„ვკითხულობ“ - მიუგო და ნაზად გაფანტა პეპლები თეთრი გადასაფარებლიდან. „დღე ძალიან მოკლე იყო ჩემთვის და ამიტომ კითხვა ლამპის შუქზე გავაგრძელე. ეს არის წიგნი ყოველივეს შემოქმედი დიდი მამის შესახებ“.
„სად ცხოვრობს?“ - ჰკითხა პატარა ბუმ.
„ყველგან“ - მიუგო მოხუცმა. „ზეციურ სამეფოში, რომელსაც ჩემი თვალები ჯერ ვერ ხედავს და ადამიანთა გულებში მეფობს“.
„ხვალინდელი დღისათვის ევედრები?“ ჰკითხა პატარა ბუმ.
„კი, რა თქმა უნდა“ - უპასუხა მოხუცმა. „მაგრამ უფრო მეტად ვევედრების მას წარსულ დროზე. იმდენი რამ იყო ჩემს ცხოვრებაში, რასაც მისი თვალები ვერ იხილავდა. ეს მე მაწუხებს ძალიან.“ „ახლა რომ გითხრა“ - ჩაიჩურჩულა პატარა ბუმ - „პეპლებმა იცოდნენ ყოვლის შემომქმედი დიდი პეპელას შესახებ ...“.
მოხუცმა თანაგრზნობით გაიღმა. „სხვანაირად როგორ უნდა წარმოედგინა დიდი მამა?“
„იქნებ როგორც დიდი დედა, როგორც იმ ქალს დაბლა ნაკადულთან?“ მოხუცებლმა წარბები შეიჭმუხნა.
„მას ბევრჯერ ვუამბე დიდ-მამაზე, მაგრამ უშედეგოდ, რასაც მოწმობს შენი შენიშვნები. მაგრამ იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ისიც გააცნობიერებებს სწორედ.“
„ეწყინება დიდი-მამას, თუ ეს ქალი მას დიდ-დედას უწოდებს?“ ჰკითხა პატარა ბუმ.
მოხუცი კაცი დიდი ხნით ჩაფიქრდა. „რა უცნაური კითხვაა. ... არა მგონია. დიდი მამა კეთილია.“
„მე უფრო მეშნია, რომ მისი ერთგული მსახური განაწყენდება ...“.
„ნუ მისცემ უფლებას რომ ამან დაგიმძიმოს გული.“ უთხრა ბუმ, დაემშვიდობა და ფეხით წავიდა.

მეორე დილით პატარა ბუ უკან ნაკადულისაკენ გაფრინდა. ამ ჯერზე მან ქალი კი არ დაინახა, არამედ ბავშვი. ბავშვი ნაპირზე იჯდა, კალთაში კატა ესვა, ფეხებს წყალში ალივლივებდა და თევზებს უყურებდა. მზე ანათებდა ბავშვს, კატას, წყალსა, ქვებსა და ბალახს. პატარა ბუ ჩუმად ჩამოჯდა ხის კონძზე. მისი ბასრი თვალები ყველაფერს კარგად ხედავდა, თუნდაც შორიდან: თუ როგორ ეფერებოდა ბავშვი კატას; კატას იმდენად სიამოვნებდა მოფერება, რომ თევზები სულ დავიწყებოდა; როგორ ბრწყინავდნენ ტალღები. ბუს ყველაფერი სიამოვნებდა.
იცოდა კი ბავშვმა იმ მშვენიერის სახელი, ვინც სამყარო შექმნა და ყოველივეზე მზის ნათება უზრუნველყო? შეიძლება ბავშვმა არც კი იცოდა მისი სახელი, თუმცა ბუ კარგად ხედავდა, რომ ბავშვი მის შუაგულში იჯდა. ხვალინდელი დღე და ზეგინდელი არ არსებობდა და არც იყო მნიშვნელოვანი. გუშინ და გუშინწინ კი სადღაც შორს იყო წარსულში და არავითარი წონა არ ჰქონდა.
პატარა ბუმ თავი ყველა მიმართულებით გააქნია და გაახსენდა ყველა სახელი, რაც კი მშვენიერს დაარქვეს. „დიდი ბუ, რომელმაც ყველაფერი შექმნა, დიდი ველური კატა, დიდი ფარშევანგი, დიდი ღამურა, დიდი თაგვი, დიდი დედა, დიდი მამა, შენ შეიძლება ასევე გერქვას დიდი საიდუმლო, რომელიც ყოველთვის ახლაა“, ჩაიჩურჩულა პატარა ბუმ. კატამ ერთი თვალი გააღო და ბუს ქვემოდან ახედა. „რატომაც არა“ - ზარმაცად დაიკნავლა.

)

მზის ჩასვლის შემდეგ პატარა ბუ ისევ ტყეში გაფრინდა. მიმოიხედა თაგვის სოროს სანახავად, ნახა და დაუძახა: „ჰაუ, ჰაუ, ჰაუ. ყველაფერი ცოცხალი ცოცხალი არსებიდან არსებობს! თქვენს მარცვლებს აქვთ აგრეთვე სიცხცხლის ძალა!“

უფრო შორს რომ გაფრინდა ღამურა შეხვდა. „რა კარგად ფრინავ“ - უთხრა პატარა ბუმ. „ერთზე მეტი ბავშვის ტარება რომ მოგიწიოთ, ალბათ ზედმეტად მძიმე იქნებოდა ფრების მემბრანისათვის“.

„შესაძლოა“ დაეთანხმა ღამურა.

პაატარა ბუ ფარშევანგის მძინარე ხეს მოეფერა. „საწყალი, უაზრო ტიპი“, გაიფიქრა მან. „ის ისეთივე მწვლაკი პირუტყვის ნაწილია, როგორც ქათმები, და მაინც თავისთვის უფრო მეტი სურს ვიდრე უბრალოდ მძინარე ხე“.

ბუ ისევ გაფრინდა შორს და დაინახა ველური კატა, რომელიც ფართო ტოტზე იწვა. როცა პატარა ბუ დაინახა, თვალები გაუბრწყინდა.

„აბა, გახდი ბრძენი?“ წასჩურჩულა მას.

„ძალიან არა, რადგან პატარა ვარ და ჯერ კიდევ ვსწავლობ.“ კმაყოფილებით მიუგო პატარა ბუმ.

„სხვათა შორის, მეც ვნახე ერთი კატა, რომელსაც ეფერებოდნენ და ბავშვის კალთაში მჯდომარე თვალსაც კი ვერ აცილებდა ტბაში მოლივლივე თევზებს.“

„გაუგონარია“ - აღმოხდა ველურ კატას.

„ყველა არსება რომ ერთნაირი იყოს და ერთნაირად გრძნობდეს თავს, არ იქნებოდა მოსაწყენი?“ ჰკითხა პატარა ბუმ. „კარგი არ არის, რომ დიდი საიდუმლო, რომელსაც თქვენ დიდ კატას უწოდებთ, ბევრ შესაძლებლობებს იძლევა?“ ველური კატა დუმდა. და პატარა ბუ ისევ გაფრინდა.

ბოლოს ისევ ეწვია ის თავის მშობლებს ხეზე, სახლში. ბუს მშობლები მხიარულად მიესალმნენ.
„დიდმა ბუმ, რომელმაც ყოველივე შექმნა, ბევრი რამ გასწავლა?“
„კი“. მშვიდად უპასუხა პატარა ბუმ.
„და აწი თქვენც და ყველას მოვუყვები ამის შესახებ“.
„ასე მოიქეცი შვილო“ - უთხრა დედა ბუმ. ხოლო მამა ბუმ მიუგო: „მხოლოდ ადამიანებთან გაგიჭირდება. ცოტას თუ სჯერა ვინმესი“.
პატარა ბუმ თავი დაუქნია. „გავფრინდები, სანამ არ ვიპოვი ვინმეს, ვისაც ჩემი სჯერა“ - შეჰყვირა მან.

დასასრული